საქართველოს მთავრობის

დადგენილება №163

2019 წლის 29 მარტი

ქ. თბილისი

საკრედიტო საგარანტიო სქემის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ

მუხლი 1

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს თანდართული ფინანსებზე ხელმისაწვდომობის „სახელმწიფო პროგრამა – საკრედიტო საგარანტიო სქემა“.

მუხლი 2

საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, ასევე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა – აწარმოე საქართველოში უზრუნველყონ ამ დადგენილებით დამტკიცებული პროგრამის ფარგლებში შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ - მინისტრი **მამუკა ბახტაძე**

სახელმწიფო პროგრამა – საკრედიტო საგარანტიო სქემა

მუხლი 1. პროგრამის მიზანი

სახელმწიფო პროგრამის – საკრედიტო საგარანტიო სქემის (შემდგომში – პროგრამა) მიზანია ფინანსებზე წვდომის გაუმჯობესება იმ მცირე და საშუალო ბიზნესებისთვის, რომელთაც არ აქვთ შესაძლებლობა, დააკმაყოფილონ სესხის უზრუნველყოფაზე არსებული მოთხოვნები (სრულად ან ნაწილობრივ), ეკონომიკის დაკრედიტების ხელშეწყობა და ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

პროგრამაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) **ბენეფიციარი** – მეწარმე სუბიექტი, რომელიც იღებს სესხს კომერციული ბანკისგან ამ პროგრამის ფარგლებში;

ბ) **დეფოლტი** – ბენეფიციარის მიერ პროგრამის ფარგლებში კომერციული ბანკის წინაშე სესხის გადახდასთან დაკავშირებით საკრედიტო ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებების შეუსრულებლობა, კომერციული ბანკის მიერ აღნიშნული სესხის უიმედო კატეგორიაში კლასიფიცირება და სესხის ამოღების მიზნით შესაბამისი ქმედებების განხორციელების დაწყება, როგორც ეს განსაზღვრულია კომერციულ ბანკსა და სააგენტოს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით;

გ) **ელექტრონული პროგრამა** – სააგენტოსა და კომერციულ ბანკ(ებ)ს შორის მონაცემთა გაცვლისა და მონიტორინგის განხორციელების მიზნით დანერგილი ელექტრონული პროგრამა;

დ) **კაპიტალური ხარჯი** – დანახარჯი, გაწეული ისეთ მატერიალურ ან/და არამატერიალურ აქტივზე

(გარდა გუდვილისა), რომელსაც პირი იყენებს საქონლის წარმოებისთვის, საქონლის მიწოდებისთვის/მომსახურების გაწევისთვის ან/და ადმინისტრაციული მიზნებისთვის და რომლის სასარგებლო გამოყენების ვადა ერთ წელზე მეტია;

ე) **კომერციული ბანკი** – „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული კომერციული ბანკი, რომელთანაც ამ პროგრამის ფარგლებში სააგენტოს გაფორმებული აქვს შესაბამისი ხელშეკრულება;

ვ) **მეწარმე სუბიექტი** – „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის შესაბამისად რეგისტრირებული პირი;

ზ) **პორტფელი** – პროგრამის ფარგლებში კომერციული ბანკის მიერ გაცემული სესხების ძირი თანხის ნაშთის ჯამური ოდენობა;

თ) **პროგრამა** – სახელმწიფო პროგრამა – საკრედიტო საგარანტიო სქემა;

ი) **რეფინანსირება** – ბენეფიციარის მიერ საკუთარი, მიმდინარე კრედიტის მთლიანი ან ნაწილობრივი დაფარვა/გადაფარვა/გაზრდა იმავე ან სხვა კომერციული ბანკისგან მიღებული ახალი კრედიტით;

კ) **სააგენტო** – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ – აწარმოე საქართველოში;

ლ) **საბრუნავი საშუალებები** – აქტივები, რომლებიც არ წარმოადგენენ კაპიტალურ ხარჯს;

მ) **საკონსულტაციო საბჭო** – ამ დადგენილების მე-11 მუხლის შესაბამისად შექმნილი საბჭო;

ნ) **სამინისტრო** – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;

ო) **სესხი** – კომერციული ბანკის მიერ ამ პროგრამისა და ხელშეკრულების ფარგლებში ბენეფიციარზე გაცემული საბანკო კრედიტი;

პ) **ხაზინა** – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – სახაზინო სამსახური;

ჟ) **ხელშეკრულება** – სააგენტოსა და კომერციულ ბანკს შორის ამ პროგრამის ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულება.

მუხლი 3. პროგრამის განხორციელება

1. პროგრამის კოორდინაციას ახორციელებს სამინისტრო, რომელიც ასევე უზრუნველყოფს სააგენტოს მიერ ამ დადგენილებით განსაზღვრული ღონისძიებების შესრულების ზედამხედველობას.

2. სააგენტო, თავისი კომპეტენციიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს კომერციული ბანკების მიერ პროგრამის ფარგლებში დამტკიცებული სესხებიდან გამომდინარე კომერციული ბანკ(ებ)ის ფინანსური რისკის გადანაწილებას, ამ პროგრამის მე-4 მუხლით განსაზღვრული პირობებისა და ლიმიტების შესაბამისად.

3. სააგენტოსა და კომერციულ ბანკებს შორის, პროგრამის ეფექტიანად განხორციელების მიზნით, ფორმდება შესაბამისი ხელშეკრულებები.

4. კომერციული ბანკი, ამ პროგრამისა და ამ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, უფლებამოსილია, ამ პროგრამის ფარგლებში გასცეს სესხი ბენეფიციარზე.

5. სააგენტო უფლებამოსილია, ეკონომიკის გარკვეულ სექტორში (მათ შორის, სექტორში შემავალ ცალკეულ საქმიანობის სახეებში) ან/და რეგიონში სესხების მაღალი კონცენტრაციის შემთხვევაში, შესაბამისი ანალიზის საფუძველზე, მინიმუმ 30 კალენდარული დღით ადრე აცნობოს კომერციულ ბანკებს სამომავლოდ კონკრეტულ სექტორში (მათ შორის, სექტორში შემავალ ცალკეულ საქმიანობის

სახეებში) ან/და კონკრეტულ რეგიონში საკრედიტო გარანტიის გაცემის შეწყვეტის შესახებ. აღნიშნული არ გამოიწვევს უკვე გაცემული საკრედიტო გარანტიების გაუქმებას.

6. სააგენტო უფლებამოსილია, რისკების შეფასების საფუძველზე შეუჩეროს ან შეუწყვიტოს კონკრეტულ კომერციულ ბანკს პროგრამაში მონაწილეობის უფლება, რის შესახებაც მინიმუმ 14 კალენდარული დღით ადრე უნდა აცნობოს მას. აღნიშნული არ გამოიწვევს უკვე გაცემული საკრედიტო გარანტიების გაუქმებას.

მუხლი 4. საკრედიტო გარანტია

1. საკრედიტო გარანტია წარმოადგენს სააგენტოსა და კომერციულ ბანკ(ებ)ს შორის კომერციული ბანკ(ებ)ის მიერ ამ პროგრამის ფარგლებში გაცემული სესხების დეფოლტის საფუძველზე წარმოქმნილი ფინანსური რისკის გადანაწილების ინსტრუმენტს, სახელმწიფო ბიუჯეტიდან აღნიშნული პროგრამით გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში და პროგრამით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

2. პროგრამაში მონაწილე თითოეული კომერციული ბანკისთვის საკრედიტო გარანტია გაიცემა შემდეგი ლიმიტების შესაბამისად:

ა) პროგრამის ფარგლებში დროის ნებისმიერი მომენტისთვის არსებული პორტფელის არა უმეტეს 15 პროცენტის ოდენობაზე;

ბ) პროგრამის ფარგლებში კომერციული ბანკის მიერ გაცემულ თითოეულ სესხზე სესხის ძირი თანხის არა უმეტეს 70 პროცენტის ოდენობაზე.

3. სახელმწიფო ბიუჯეტიდან პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობა 2019 – 2023 წლებში ყოველწლიურად შეადგენს 20 მილიონ ლარს, რომელსაც შესაძლოა დაემატოს ამ პროგრამის მე-7 მუხლის მე-17 პუნქტით განსაზღვრული დამატებითი საკრედიტო გარანტიების გაცემის მიზნით გათვალისწინებული თანხები.

4. პროგრამის ფარგლებში გაცემულ სესხ(ებ)ზე კომერციული ბანკი ყოველთვიურად უზრუნველყოფს საკრედიტო გარანტიით სარგებლობის საკომისიოს გადახდას არა უმეტეს სესხის ნაშთის გარანტირებული ნაწილის წლიური 2%-ის ოდენობისა, საკრედიტო გარანტიის მოქმედების ვადის განმავლობაში, კომერციულ ბანკსა და სააგენტოს შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად.

5. კომერციული ბანკის მიერ საკრედიტო გარანტიით სარგებლობის საკომისიოს გადახდის შეჩერებისა და შეწყვეტის პირობები განისაზღვრება კომერციულ ბანკსა და სააგენტოს შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად.

6. პროგრამის ფარგლებში საკრედიტო გარანტია შესაძლოა გაიცეს მხოლოდ იმ სესხების მიმართ, რომელთა მსესხებელი მეწარმე სუბიექტები აკმაყოფილებენ პროგრამით განსაზღვრულ პირობებს.

7. პროგრამის ფარგლებში, კონკრეტულ სესხთან დაკავშირებით საკრედიტო გარანტიის გაცემის შემთხვევაში, ბენეფიციარი იმავე სესხზე დამატებით ვერ ისარგებლებს სხვა საგარანტიო სქემით და პირიქით, თუ კრედიტზე სხვა საგარანტიო სქემის/ფონდის ფარგლებში უკვე გაცემულია გარანტია, აღნიშნულ კრედიტთან დაკავშირებით არ მოხდება პროგრამის ფარგლებში საკრედიტო გარანტიის გაცემა.

8. პროგრამის ფარგლებში, კონკრეტულ სესხთან დაკავშირებით საკრედიტო გარანტიის გაცემის შემთხვევაში, ბენეფიციარი იმავე სესხის ფარგლებში ვერ ისარგებლებს საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის №365 დადგენილებით დამტკიცებული პროგრამის მე-5 მუხლით განსაზღვრული ფინანსებზე ხელმისაწვდომობის კომპონენტითა და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 იანვრის №139 განკარგულებით განსაზღვრული შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტით.

9. პროგრამის ფარგლებში გაცემულ სესხზე უზრუნველყოფის საშუალებად არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის №365 დადგენილებით დამტკიცებული პროგრამის მე-7 მუხლის შესაბამისად გადაცემული ქონება.

10. საკრედიტო გარანტია არ გაიცემა იმ სესხებთან დაკავშირებით, რომელთა მსესხებელს წარმოადგენს საწარმო, რომელშიც სახელმწიფო/საჯარო სამართლის იურიდიული პირი პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობს 10 პროცენტზე მეტ წილს/აქციას ან/და პირდაპირ ან არაპირდაპირ მონაწილეობს საწარმოს მართვაში სესხის გაცემის მომენტისთვის.

11. პროგრამის ფარგლებში სესხის აღება არ შეუძლიათ იმ მეწარმე სუბიექტებს, რომლებმაც ამ სქემის ფარგლებში ერთხელ უკვე განიცადეს დეფოლტი ან/და დაარღვიეს ამ დადგენილებით განსაზღვრული პირობები ან/და დაარღვიეს საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის №365 დადგენილებით დამტკიცებული „აწარმოე საქართველოში“ სახელმწიფო პროგრამის პირობები ან/და სესხის გაცემის მომენტისთვის გააჩნიათ სახელმწიფოს მიმართ ვადაგადაცილებული საგადასახადო დავალიანება ან/და რეგისტრირებულნი არიან მოვალეთა რეესტრში.

მუხლი 5. საკრედიტო საგარანტიო სქემის ბენეფიციარები

1. საკრედიტო საგარანტიო სქემის ბენეფიციარ(ებ)ი, ხოლო თანამსესხებლების მიერ სესხის აღების შემთხვევაში – თითოეული ცალ-ცალკე, სესხის აღების მომენტისთვის უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ კრიტერიუმებს:

ა) ბენეფიციარის საშუალო ბრუნვა ბოლო 3 წლის განმავლობაში არ უნდა აღემატებოდეს 20 000 000 (ოცი მილიონი) ლარს;

ბ) ბენეფიციარის სასესხო ვალდებულებები არ უნდა აღემატებოდეს 8 000 000 (რვა მილიონი) ლარს.

2. ბენეფიციარი უზრუნველყოფს:

ა) ამ დადგენილების №1 დანართით განსაზღვრულ საქმიანობის სახე(ებ)ში წარმოების/მომსახურების მიწოდების დაწყებას: ახალი საწარმოს გახსნის შემთხვევაში – არა უგვიანეს 24 თვის განმავლობაში, ხოლო არსებული საწარმოს შემთხვევაში – არა უგვიანეს 12 თვის განმავლობაში. აღნიშნული პერიოდი შედის საკრედიტო გარანტიით სარგებლობის ვადაში;

ბ) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული წარმოების/მომსახურების მიწოდების დაწყებიდან 2 (ორი) წლის განმავლობაში საქმიანობის პროფილის შენარჩუნებას, თუმცა არანაკლებ პროგრამის ფარგლებში გაცემული საკრედიტო გარანტიის ვადისა.

3. კომერციული ბანკი უფლებამოსილია, ბენეფიციარს დააკისროს საკრედიტო გარანტიით სარგებლობის საკომისიოს გადახდა მაქსიმუმ სესხის ნაშთის გარანტირებული ნაწილის წლიური 2 (ორი) პროცენტის ოდენობით, ყოველთვიურად კომერციული ბანკის მიერ შეთავაზებულ საპროცენტო განაკვეთზე დამატებით, საკრედიტო გარანტიის მოქმედების ვადის განმავლობაში, არა უმეტეს ამ პროგრამის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად კომერციულ ბანკსა და სააგენტოს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში განსაზღვრული ოდენობისა.

4. ბენეფიციარის მიერ აღნიშნული მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის დარღვევის შემთხვევაში, ბენეფიციარს ეკისრება სანქცია, რომელიც გათვალისწინებული იქნება კომერციულ ბანკსა და ბენეფიციარს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში.

5. ბენეფიციართან შეთანხმებით, კომერციული ბანკი უფლებამოსილია, სრულად ან ნაწილობრივ უარი თქვას საკრედიტო გარანტიაზე ან/და ბენეფიციარის სურვილის შემთხვევაში, კომერციული ბანკი უფლებამოსილია, სრულად ან ნაწილობრივ ჩაანაცვლოს საკრედიტო გარანტია სხვა უზრუნველყოფით.

მუხლი 6. მოთხოვნები პროგრამის ფარგლებში გაცემულ სესხებთან მიმართებით

1. მეწარმე სუბიექტი პროგრამის ფარგლებში მიმართავს კომერციულ ბანკს.

2. კომერციული ბანკის მიერ პროგრამის ფარგლებში ბენეფიციარისთვის გაცემული სესხის მინიმალური მოცულობა შეადგენს 50 000 (ორმოცდაათი ათასი) ლარს, ხოლო მაქსიმალური მოცულობა – 2 000 000 (ორი მილიონი) ლარს. სესხის მაქსიმალური მოცულობა არ იცვლება

თანამსესხებლების მიერ სესხის აღების შემთხვევაში.

3. პროგრამის ფარგლებში ბენეფიციარი უფლებამოსილია, ისარგებლოს რამდენიმე სესხით, თუ პროგრამის ფარგლებში გაცემული სესხების ჯამური მოცულობა არ აღემატება 2 000 000 (ორი მილიონი) ლარს. თანამსესხებლების მიერ სესხის აღების შემთხვევაში, მათ მიერ აღებული სესხების ჯამური ოდენობა (ცალ-ცალკე და ერთობლივად) არ უნდა აღემატებოდეს 2 000 000 (ორი მილიონი) ლარს.

4. მეწარმე სუბიექტის მიერ უკვე აღებული კრედიტის (არა ამ პროგრამის ფარგლებში აღებული კრედიტის) რეფინანსირების შემთხვევაში, საკრედიტო გარანტია შეიძლება გავრცელდეს მხოლოდ ნამეტ თანხაზე. კრედიტის მოცულობის გაზრდის გარეშე, პროგრამის ფარგლებში, დაუშვებელია უკვე გაცემული კრედიტის (არა ამ პროგრამის ფარგლებში გაცემული კრედიტის) რეფინანსირება, როგორც კრედიტის გამცემი კომერციული ბანკის შიგნით, ისე სხვა კომერციულ ბანკში.

5. პროგრამის ფარგლებში სესხ(ებ)ის გაცემა უნდა განხორციელდეს მხოლოდ ლარით.

6. საკრედიტო გარანტია მოქმედებს სესხის გაცემიდან არა უმეტეს 10 წლის განმავლობაში.

7. საკრედიტო საგარანტიო სქემის ფარგლებში კომერციული ბანკი უზრუნველყოფს სესხის გაცემას ამ დადგენილების №1 დანართით განსაზღვრულ საქმიანობის სახეებში.

8. საკრედიტო საგარანტიო სქემის ფარგლებში, კომერციული ბანკის მიერ ბენეფიციარისთვის სესხზე მოთხოვნილი უზრუნველყოფის ღირებულებისა და საკრედიტო გარანტიის მოცულობის ჯამის მაქსიმალური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს სესხის ძირი თანხის მთლიანი მოცულობის 110 (ას ათი) პროცენტს.

9. კომერციული ბანკის მიერ ბენეფიციარისთვის სესხზე მოთხოვნილი უზრუნველყოფის მაქსიმალური ოდენობის შეფასება ხდება სალიკვიდაციო ღირებულების საფუძველზე.

10. პროგრამის ფარგლებში გაცემული სესხის რეფინანსირების შემთხვევაში, თუ სესხის მოცულობა არ აკმაყოფილებს სქემის ფარგლებში მოთხოვნილ კრიტერიუმს, საკრედიტო გარანტიის გამოყენება ხდება სესხის თავდაპირველი მახასიათებლ(ებ)ის შესაბამისად.

მუხლი 7. პროგრამის განხორციელების პროცესი და საკრედიტო გარანტიის თანხის მართვა

1. პროგრამის ფარგლებში გაცემულ სესხზე კომერციული ბანკი იღებს საკრედიტო გარანტიას პროგრამის მე-4 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად.

2. საკრედიტო გარანტიის გაცემა ხორციელდება პროგრამის ფარგლებში სესხის გაცემის რეგისტრაციის (შესაბამის ელპროგრამაში ჩაწერის) დროის თანმიმდევრობის შესაბამისად (ე.წ. First come, first serve პრინციპის შესაბამისად).

3. პროგრამის ფარგლებში სესხის გაცემის მიზნით, კომერციული ბანკი სესხის დამტკიცების შემდეგ ელექტრონული პროგრამის მეშვეობით უზრუნველყოფს სააგენტოსთვის სესხის ძირითადი მახასიათებლების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას.

4. სააგენტო უზრუნველყოფს კომერციული ბანკის მიერ ელექტრონული პროგრამის მეშვეობით წარდგენილი ინფორმაციის შესაბამისობის შემოწმებას პროგრამის კრიტერიუმებსა და პირობებთან.

5. ელექტრონულ პროგრამაში კომერციული ბანკის მიერ სესხის ძირითადი მახასიათებლების შესახებ ინფორმაციის ჩაწერიდან 2 სამუშაო დღის განმავლობაში სააგენტო ადასტურებს ან უარყოფს სესხის ძირითადი მახასიათებლების შესაბამისობას პროგრამის კრიტერიუმებსა და პირობებთან. სააგენტოს დასტურის შემთხვევაში, სესხი ითვლება პროგრამის ფარგლებში დამტკიცებულად.

6. სააგენტო უფლებამოსილია, საგარანტიო თანხა განათავსოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად კომერციულ ბანკ(ებ)ში გახსნილ სადეპოზიტო ანგარიშზე.

7. სააგენტო საკრედიტო გარანტიის თანხის ჩარიცხვას უზრუნველყოფს კომერციულ ბანკ(ებ)ში

გახსნილ სადეპოზიტო ანგარიშზე ყოველი თვის 15 რიცხვამდე.

8. სააგენტოს მიერ კომერციული ბანკის სადეპოზიტო ანგარიშზე ჩასარიცხი საგარანტიო თანხის ოდენობა განისაზღვრება კომერციული ბანკის მიერ წინა თვის ბოლო დღის მდგომარეობით, წინა თვის განმავლობაში გაცემული სესხების 10.5 პროცენტის ოდენობით.

9. ყოველი თვის 10 რიცხვამდე კომერციული ბანკ(ებ)ი უზრუნველყოფს/უზრუნველყოფენ წინა თვის ბოლო დღის მდგომარეობით არსებული სასესხო პორტფელის ძირი თანხის დაფარვების 10.5 პროცენტის ხაზინის ერთიან ანგარიშზე ჩარიცხვას.

10. სააგენტო ამოწმებს ამ მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად კომერციული ბანკ(ებ)ის მიერ ხაზინის ერთიან ანგარიშზე ჩარიცხული თანხის სისწორეს და აღმოჩენილი უზუსტობის შემთხვევაში მხარეები უზრუნველყოფენ აღნიშნული უზუსტობის აღმოფხვრას, კომერციულ ბანკ(ებ)სა და სააგენტოს შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად.

11. კომერციული ბანკ(ებ)ი უზრუნველყოფს/უზრუნველყოფენ საკრედიტო გარანტიის ვადის ამოწურვის, საკრედიტო გარანტიაზე სრულად უარის თქმის ან საკრედიტო გარანტიის უზრუნველყოფით სრულად ჩანაცვლების შემთხვევაში სესხის ძირი თანხის ნაშთის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) 10.5 პროცენტის ჩარიცხვას ხაზინის ერთიან ანგარიშზე, საკრედიტო გარანტიის ვადის ამოწურვიდან, საკრედიტო გარანტიაზე სრულად უარის თქმიდან, საკრედიტო გარანტიის უზრუნველყოფით სრულად ჩანაცვლებიდან, 15 კალენდარული დღის განმავლობაში.

12. სესხის ტრანშებად გაცემის შემთხვევაში, საგარანტიო თანხის განთავსება კომერციულ ბანკში არსებულ სადეპოზიტო ანგარიშზე ხორციელდება სესხის მოცულობის შესაბამისად, თუ კომერციული ბანკი თანხის განთავსებას ტრანშის პროპორციულად არ მოითხოვს.

13. კომერციული ბანკი უზრუნველყოფს სადეპოზიტო ანგარიშზე არსებულ საგარანტიო თანხაზე საპროცენტო სარგებლის დარიცხვას ყოველდღიურად, რეფინანსირების განაკვეთის შესაბამისად.

14. რეფინანსირების განაკვეთის ცვლილების შემთხვევაში, სადეპოზიტო ანგარიშზე პროცენტის ცვლილება ხორცილდება რეფინანსირების განაკვეთის ცვლილების მომდევნო სამუშაო დღეს.

15. დეფოლტის შემთხვევაში, სააგენტოსთვის ელექტრონულ პროგრამაში შესაბამისი ინფორმაციის წარდგენის შემდეგ, კომერციული ბანკი მოახდენს სააგენტოს სადეპოზიტო ანგარიშიდან ასათვისებელი თანხის ჩამოჭრას პროგრამის მე-9 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად.

16. კომერციული ბანკი ყოველი თვის 15 რიცხვამდე უზრუნველყოფს დეპოზიტის საპროცენტო სარგებლისა და საკრედიტო გარანტიით სარგებლობის საკომისიოს თანხის ჩარიცხვას ხაზინის ერთიან ანგარიშზე.

17. ხაზინის ერთიან ანგარიშზე ჩარიცხული დეპოზიტის საპროცენტო სარგებლისა და საკრედიტო გარანტიით სარგებლობის საკომისიოს თანხა სამინისტროს მიერ გათვალისწინებული იქნება პროგრამის მომავალი წლის ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში პროგრამის ფარგლებში დამატებითი საკრედიტო გარანტიების გაცემის მიზნით.

18. კომერციულ ბანკში არსებულ სადეპოზიტო ანგარიშზე რიცხული ნაშთი არ ექვემდებარება ფისკალური წლის ბოლოს სახელმწიფო ბიუჯეტში უკან დაბრუნებას.

19. კომერციული ბანკ(ებ)ი ელექტრონული პროგრამის საშუალებით მუდმივ რეჟიმში უზრუნველყოფს/უზრუნველყოფენ სააგენტოსთვის პროგრამის ფარგლებში გაცემული სესხების შესახებ ინფორმაციის ჩაწერას.

20. ელექტრონული პროგრამის საშუალებით კომერციული ბანკი მუდმივად აახლებს ინფორმაციას სასესხო პორტფელის შესახებ, სესხის დაფარვების, ვადაგადაცილებების, დეფოლტისა და ახალი გაცემული სესხების გათვალისწინებით.

მუხლი 8. ხელშეკრულებით გასათვალისწინებელი პირობები

ამ პროგრამის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, სააგენტოსა და კომერციულ ბანკებს შორის გასაფორმებელ ხელშეკრულებაში, მხარეთა შორის შეთანხმებულ სხვა პირობებთან ერთად, გათვალისწინებულ უნდა იქნეს:

ა) სანქცია, რომელიც ეკისრება ბენეფიციარს ამ პროგრამის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის დარღვევის შემთხვევაში;

ბ) სანქცია, რომელიც შესაძლოა დაეკისროს კომერციულ ბანკს ამ პროგრამით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში კომერციულ ბანკსა და სააგენტოს შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად;

გ) ელექტრონულ პროგრამაში კომერციული ბანკის მიერ წარსადგენი ინფორმაცია.

მუხლი 9. საკრედიტო გარანტიის აღსრულების პროცედურა

1. დეფოლტის შემდეგ სადეპოზიტო ანგარიშზე რიცხული საგარანტიო თანხიდან კომერციული ბანკის მიერ ხდება საკრედიტო გარანტიის ათვისება პროგრამით გათვალისწინებული ლიმიტების ფარგლებში, ამ პროგრამის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად.

2. დეფოლტის დადგომის თაობაზე კომერციული ბანკი ელექტრონული პროგრამის საშუალებით დაუყოვნებლივ აცნობებს სააგენტოს და აწვდის ინფორმაციას საკრედიტო გარანტიის თანხიდან ასათვისებელი თანხის ოდენობის თაობაზე (შემდგომში – ასათვისებელი თანხა).

3. ასათვისებელი თანხა წარმოადგენს პროგრამის ფარგლებში გაცემული სესხის დეფოლტის საფუძველზე წარმოქმნილი ფინანსური რისკის გადანაწილების მიზნით კომერციული ბანკის მიერ სააგენტოს სადეპოზიტო ანგარიშიდან ჩამოსაჭრელი თანხის მოცულობას, რომელიც განისაზღვრება ამ მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად.

4. ასათვისებელი თანხის ოდენობა განისაზღვრება გადეფოლტებული სესხის ძირი თანხის (გადასახდელი პროცენტებისა და საკომისიოს გარეშე) ნაშთის გარანტირებული ნაწილის შესაბამისად, დეფოლტის მომენტისთვის არსებული კომერციული ბანკის პორტფელის 15 პროცენტის ოდენობაზე. კერძოდ, ამ პროგრამით განსაზღვრული პირობების შესაბამისად, გადეფოლტებული სესხ(ებ)ი ანაზღაურდება მანამ, სანამ თითოეული კომერციული ბანკისთვის პროგრამის ფარგლებში გადეფოლტებული სესხების თანხის ჯამური მოცულობა მიაღწევს პორტფელის 15 პროცენტს.

5. კომერციულ ბანკსა და სააგენტოს შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად, სააგენტოს მიერ ასათვისებელი თანხის ოდენობის სისწორის დადასტურების შემდეგ, კომერციული ბანკი უფლებამოსილია, ჩამოჭრას სადეპოზიტო ანგარიშზე რიცხული თანხა ასათვისებელი თანხის ოდენობის შესაბამისად.

6. დეფოლტის დადგომის საფუძველზე, კომერციული ბანკი უზრუნველყოფს გადეფოლტებული სესხის ამოღების მიზნით შესაბამისი ქმედებების განხორციელებას.

7. სესხის ამოღების შედეგად მიღებული თანხის გადანაწილება ხდება სესხის გარანტირებული და არაგარანტირებული ნაწილის პროპორციულად. ამოღებული თანხის არა უმეტეს 70 პროცენტისა ჩაირიცხება ხაზინის ანგარიშზე, ხოლო დანარჩენი ნაწილი ჩაერიცხება კომერციულ ბანკს.

8. სესხის ამოღების შედეგად ამ მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად მიღებული თანხის გადანაწილების საფუძველზე, ხაზინის ერთიან ანგარიშზე გადარიცხული თანხა არ უნდა აღემატებოდეს ამ მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად სადეპოზიტო ანგარიშიდან კომერციული ბანკის მიერ ჩამოჭრილი ასათვისებელი თანხის ფაქტობრივ ოდენობას.

9. თუ სესხის ამოღების პროცესში ვერ მოხდა უზრუნველყოფილი ქონების რეალიზაცია და აქედან გამომდინარე განხორციელდა კომერციული ბანკის მიერ ბენეფიციარის ქონების დასაკუთრება, კომერციული ბანკის მიერ დასაკუთრებული ქონების რეალიზაცია უნდა განხორციელდეს დეფოლტის დადგომის მომენტიდან მაქსიმუმ ორი წლის განმავლობაში. სააგენტოსთვის კუთვნილი ნაწილის ჩარიცხვა ხაზინის ერთიან ანგარიშზე განხორციელდება კომერციული ბანკის მიერ დასაკუთრებული

ქონების რეალიზაციის შემდეგ, ამ მუხლის მე-7 და მე-8 პუნქტების შესაბამისად.

10. თუ ამ მუხლის მე-9 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში არ მოხდა დასაკუთრებული ქონების რეალიზაცია, აღნიშნული ქონების სალიკვიდაციო ღირებულების ხელახალი შეფასების საფუძველზე, ორი თვის განმავლობაში კომერციული ბანკი უზრუნველყოფს სააგენტოსთვის კუთვნილი ნაწილის ჩარიცხვას ხაზინის ერთიან ანგარიშზე, ამ მუხლის მე-7 და მე-8 პუნქტების შესაბამისად.

11. თუ პროგრამის ფარგლებში გასაცემი სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად ბენეფიციარის მიერ ხდება ისეთი ქონების მითითება, რომელზეც უკვე რეგისტრირებულია მოთხოვნის უზრუნველყოფის სხვა საშუალებები (იპოთეკა/გირავნობა), მოთხოვნის წარმოშობის მომენტში კრედიტორთა დაკმაყოფილების რიგითობა განისაზღვრება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 10. პროგრამის მიმართულებები და მიზნობრიობა

საკრედიტო გარანტია გაიცემა №1 დანართით განსაზღვრულ საქმიანობის სახეებში, მხოლოდ შემდეგი ორი მიზნობრიობით:

ა) წარმოებისათვის/მომსახურების გაწევისთვის საჭირო კაპიტალური ხარჯებისთვის – სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში პროგრამის ერთ ბენეფიციარზე გაცემული სესხის მოცულობის არანაკლებ 80 (ოთხმოცი) პროცენტისა;

ბ) საბრუნავი საშუალებების შესაძენად – სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში პროგრამის ერთ ბენეფიციარზე გაცემული სესხის მოცულობის არა უმეტეს 20 (ოცი) პროცენტისა.

მუხლი 11. მონიტორინგი, გამჭვირვალობა და ანგარიშგება

1. პროგრამის მონიტორინგს ახორციელებს სააგენტო.

2. სააგენტო უზრუნველყოფს ბენეფიციარის მიერ პროგრამით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მონიტორინგს. ბენეფიციარის მიერ პროგრამით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, სააგენტო ოფიციალურად აცნობებს კომერციულ ბანკს.

3. პროგრამის ეფექტიანად განხორციელების, გამჭვირვალობისა და პროგრამის შედეგების მონიტორინგის მიზნით, სამინისტროში იქმნება საკონსულტაციო საბჭო, რომლის უფლებამოსილებები განისაზღვრება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანების შესაბამისად.

4. საკონსულტაციო საბჭოს შემადგენლობა განისაზღვრება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანების შესაბამისად.

5. სააგენტო ახორციელებს კომერციული ბანკების მიერ გაცემული პორტფელის, მათ შორის, პორტფელის ხარისხის მაჩვენებლების, სექტორულ და გეოგრაფიულ განაწილებასთან დაკავშირებული საკითხების, სექტორებისა და ბენეფიციარების კატეგორიების მიხედვით დეფოლტის მაჩვენებლების ანალიზს და წარუდგენს საკონსულტაციო საბჭოს.

6. პროგრამის ფარგლებში სააგენტო უფლებამოსილია, კომერციული ბანკისგან მოითხოვოს დამატებითი ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარდგენა.

7. საჭიროების შემთხვევაში, სააგენტო ამზადებს რეკომენდაციებს საგარანტიო სქემაში ცვლილებების შეტანის შესახებ და წარუდგენს საკონსულტაციო საბჭოს. საბჭოს მიერ მოწონების შემთხვევაში, რეკომენდაციები წარედგინება სამინისტროს, შემდგომ მისი საქართველოს მთავრობის სხდომაზე ინიციირების მიზნით.

8. ყოველკვარტალურად სააგენტო ახორციელებს პროგრამის შესახებ ანგარიშების მომზადებასა და სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებას.

9. პროგრამის ფარგლებში, სააგენტო ბუღალტრულ და ფინანსურ ანგარიშგებას ახორციელებს მოქმედი

კანონმდებლობის შესაბამისად.

10. ყოველი თვის 10 რიცხვამდე სააგენტო, ყოველთვიურად, პროგრამის ფარგლებში ბიუჯეტით განსაზღვრული ხარჯების ათვისების შესახებ ანგარიშგებას წარუდგენს ხაზინას.

11. პროგრამის ფარგლებში, სააგენტოს საქმიანობისა და პროგრამის შედეგების მონიტორინგის მიზნით, პროგრამის ამოქმედებიდან ორი წლის, ხოლო შემდგომ ყოველწლიურად ხორციელდება გარე აუდიტი.

12. სააგენტოსთვის პროგრამის ფარგლებში აუდიტორული მომსახურების გაწევის უფლება აქვს იმ აუდიტორულ ფირმას, რომელმაც ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ დადგენილი წესით გაიარა „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული საზოგადოებრივი დაინტერესების პირების ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განხორციელებისათვის მოთხოვნილი შესაბამისი ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგი.

მუხლი 12. პროგრამის შეწყვეტის პირობები

1. პროგრამის მოქმედება შეიძლება შეწყდეს საქართველოს კანონმდებლობითა და ამ პროგრამით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

2. პროგრამის მოქმედების შეწყვეტის შემთხვევაში, გაცემული საკრედიტო გარანტიების ანაზღაურება მოხდება საკრედიტო გარანტიის გაცემისას, პროგრამით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

დანართი №1: საქმიანობის სახეები

საქმიანობის სახე	**საქმიანობის სახის დასახელება**
15.11.0	ხორცისა და სუბპროდუქტების წარმოება
15.12.0	სასოფლო-სამეურნეო ფრინველისა და ბოცვრის ხორცის წარმოება
15.13.0	ხორცის პროდუქტების წარმოება
15.20.0	თევზისა და თევზის პროდუქტების გადამუშავება და კონსერვირება
15.31.0	კარტოფილის გადამუშავება და კონსერვირება
15.32.0	ხილისა და ბოსტნეულის წვენების წარმოება
15.33.1	ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავება
15.33.2	ხილბოსტნეულის კონსერვების წარმოება (კარტოფილის გარდა), ხორცნარევის ჩათვლით
15.41.0	გაუწმენდავი ზეთებისა და ცხიმების წარმოება
15.42.0	რაფინირებული ზეთებისა და ცხიმების წარმოება
15.43.0	მარგარინის წარმოება
15.51.1	რძის გადამუშავება და ყველის წარმოება
15.51.2	რძის კონსერვების წარმოება
15.52.0	ნაყინის წარმოება
15.61.1	ფქვილის წარმოება

15.61.2	ბურღულეულის წარმოება
15.61.3	კვების სხვა პროდუქტების წარმოება
15.62.0	სახამებლებისა და სახამებელი პროდუქტების წარმოება
15.71.0	მზა საკვების წარმოება ფერმების ცხოველებისათვის
15.72.0	მზა საკვების წარმოება შინაური ცხოველებისათვის
15.82.0	ორცხობილის, ხანგრძლივი შენახვის ნამცხვრისა და ცომეული საკონდიტრო ნაწარმის წარმოება
15.83.0	შაქრის წარმოება
15.84.0	კაკაოს, შოკოლადისა და შაქრიანი საკონდიტრო ნაწარმის წარმოება
15.85.0	მაკარონის ნაწარმის წარმოება
15.86.1	ჩაის გადამუშავება
15.86.2	ყავის გადამუშავება
15.87.0	სუნელ-სანელებლებისა და საკაზმ-სანელებლების წარმოება
15.88.1	ბავშვთა კვების პროდუქტების წარმოება
15.88.2	დიეტური და ჰომოგენიზებული პროდუქტების წარმოება
15.89.1	კვების კონცენტრატების (დეჰიდრატების) წარმოება
15.89.2	საფუარის წარმოება
15.89.9	სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი საკვები პროდუქტების წარმოება
15.97.0	ალაოსა და ალაოს ექსტრაქტების წარმოება
15.98.0	მინერალური წყლებისა და სხვა უალკოჰოლო სასმელების წარმოება
17.11.1	ბამბის ბოჭკოების მომზადება
17.11.2	ბამბის ბოჭკოების დართვა
17.12.1	შალის ბოჭკოების მომზადება
17.12.2	შალის ბოჭკოების დართვა
17.13.1	საკამვოლო მატყლის მომზადება
17.13.2	საკამვოლო მატყლის დართვა
17.14.1	სელის ბოჭკოების მომზადება
17.14.2	სელის ბოჭკოების დართვა
17.15.1	აბრეშუმის ბოჭკოს მომზადება
17.15.2	აბრეშუმის ნართის წარმოება

17.16.1	ბამბის ძაფების წარმოება
17.16.2	სელის ძაფების წარმოება
17.16.3	აბრეშუმის ძაფების წარმოება
17.16.4	ძაფების წარმოება დანარჩენი ბოჭკოებისაგან
17.17.1	დანარჩენი ბოჭკოების მომზადება
17.17.2	დანარჩენი ბოჭკოების დართვა
17.21.0	ბამბის ქსოვილების წარმოება
17.22.0	შალის ქსოვილების წარმოება კარდული დართვის ბოჭკოე-ბისაგან
17.23.0	შალის ქსოვილების წარმოება სავარცხლური დართვის ბოჭკოებისაგან
17.24.0	აბრეშუმის ქსოვილების წარმოება
17.25.1	სელის ქსოვილების წარმოება
17.25.9	დანარჩენი ქსოვილების წარმოება
17.30.0	ქსოვილებისა და ტექსტილის ნაწარმის გაწყობა
17.40.1	ტექსტილის მზა ნაწარმის წარმოება, ტანსაცმლის გარდა
17.40.2	ნაწარმის წარმოებას ტექსტილისაგან სპეციალიზერებული საწარმოების მიერ მოსახლეობის ინდივიდუალური შეკვეთებით
17.51.1	ხალიჩებისა და ორხოვისებრი ნაწარმის წარმოება
17.51.2	ხალიჩებისა და სხვა ორხოვისებრი ნაწარმის წარმოებას სპეციალიზირებული საწარმოების მიერ მოსახლეობის ინდივიდუალური შეკვეთებით
17.52.1	ბაგირების, თოკებისა და კანაფების წარმოება
17.52.2	ნაკეთობების წარმოება თოკებისა და ბადისებრი ტილოსაგან
17.53.0	უქსოვადი ტექსტილის მასალებისა და მათი ნაწარმის წარმოება
17.54.1	სათელ-საქეჩე წარმოება
17.54.2	ვიწრო ქსოვილებისა და სხვა საგალანტერეო ნაწარმის წარმოება
17.54.3	ტექსტილის ნაწარმის წარმოებას, რომელიც არ შედის სხვა დაჯგუფებებში, სპეციალიზებული საწარმოების მიერ მოსახლეო-ბის ინდივიდუალური შეკვეთებით
17.54.9	ტექსტილის დანარჩენი ნაწარმის წარმოება
17.60.0	ტრიკოტაჟისა და ნაქსოვი ტილოს წარმოება
17.71.0	ტრიკოტაჟის წინდის ნაწარმის წარმოება
17.72.1	პულოვერებისა და ანალოგიური ნაწარმის წარმოება

17.72.2	პულოვერებისა და ანალოგიური ნაწარმის წარმოებას სპეციალიზე-ბული საწარმოების მიერ მოსახლეობის ინდივიდუალური შეკვეთებით
18.10.1	ტყავის ტანსაცმლის წარმოება
18.10.2	ტყავის ტანსაცმლის წარმოება სპეციალიზებული საწარმოების მიერ მოსახლეობის ინდივიდუალური შეკვეთებით
18.21.0	ტანსაცმლის წარმოება ტექსტილის მასალებისაგან
18.22.1	ზედა ტანსაცმლის წარმოება
18.22.2	ზედა ტანსაცმლის წარმოება სპეციალიზებული საწარმოების მიერ მოსახლეობის ინდივიდუალური შეკვეთებით
18.23.1	საცვლების წარმოება
18.23.2	საცვლების წარმოება სპეციალიზებული საწარმოების მიერ მოსახლეობის ინდივიდუალური შეკვეთით
18.24.1	თავსაბურავების წარმოება
18.24.9	დანარჩენი ტანსაცმლისა და აქსესუარების წარმოება
18.30.1	ბეწვეულისა და ბეწვიანი ტყავების გამოყვანა და ღებვა
18.30.2	ხელოვნური ბეწვის წარმოება
18.30.3	ნაწარმის წარმოება ნატურალური ან ხელოვნური ბეწვისაგან
18.30.4	ბეწვეული ნაწარმის წარმოება სპეციალიზებული საწარმოების მიერ მოსახლეობის ინდივიდუალური შეკვეთით
19.10.1	ნატურალური ტყავების წარმოება
19.10.2	ხელოვნური ტყავების წარმოება
19.20.1	ჩემოდნების, ჩანთებისა და ტყავგალანტერიის სხვა ნივთების წარმოება
19.20.2	სასარაჯო-საუნაგირე აკაზმულობის წარმოება
19.20.3	ტყავის საგალანტერეო და სამგზავრო ნივთების წარმოება სპეციალიზირებული საწარმოების მიერ, მოსახლეობის ინდივიდუ-ალური შეკვეთით
19.30.1	ფეხსაცმლის წარმოება
19.30.2	ფეხსაცმლის წარმოება სპეციალიზებული საწარმოების მიერ მოსახლეობის ინდივიდუალური შეკვეთით
20.10.3	პარკეტისა და ხის სხვა აუწყობელი საფარების წარმოებას იატაკისათვის
20.20.0	ხის პანელების წარმოება
20.30.1	ხის სადურგლო ნაკეთობების წარმოება
20.30.2	ასაწყობი სახლებისა და მათი დეტალების წარმოება ხისგან

20.30.3	საწარმოო, ადმინისტრაციული, კულტურულ-საყოფაცხოვრებო, საცხოვრებელი და კომუნალური დანიშნულების ხის საკონტეინერო, მთლიანგადამზიდი და ასაწყობ-დასაშლელი შენობებისა და სათავსების წარმოებას
20.40.0	ხის ტარის წარმოება
20.51.1	ხის სხვადასხვა ნაწარმის წარმოება
20.51.2	ხის დეკორატიული ნაკეთობების წარმოება
20.52.0	კორპის, ჩალისა და წნული მასალებისაგან ნაწარმის წარმოებას
21.11.0	ქაღალდის მასის წარმოება
21.12.0	ქაღალდისა და მუყაოს წარმოება
21.21.1	გოფრირებული ქაღალდისა და მუყაოს წარმოება
21.21.2	ქაღალდისა და მუყაოს ტარის წარმოება
21.22.0	სამეურნეო-საყოფაცხოვრებო და სანიტარულ-ჰიგიენური და-ნიშნულების ქაღალდის ნაწარმის წარმოება
21.23.0	საწერ-ქაღალდის ნაწარმის წარმოება
21.24.0	შპალერის წარმოება
21.25.0	დანარჩენი ნაწარმის წარმოება ქაღალდისა და მუყაოსაგან
22.11.0	წიგნების გამოცემა
22.12.0	გაზეთების გამოცემა
22.13.0	ჟურნალებისა და პერიოდული პუბლიკაციების გამოცემა
22.14.0	ხმოვანი ჩანაწერების გამოცემა
22.15.0	საგამომცემლო საქმიანობის დანარჩენი სახეები
22.21.0	გაზეთების ბეჭდვა
22.22.0	სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი პოლიგრაფიული საქმიანობა (წიგნის პროდუქცია)
22.23.0	სამკაზმაო საქმიანობა და გაწყობა
22.24.0	საბეჭდი ფორმების დამზადება
22.25.0	დანარჩენი პოლიგრაფიული საქმიანობა
23.10.0	კოქსის პროდუქტების წარმოება
23.20.0	ნავთობგადამუშავების პროდუქტების წარმოება
24.11.0	სამრეწველო აირების წარმოება
24.12.0	საღებრებისა და პიგმენტების წარმოება

24.13.0	დანარჩენი ძირითადი არაორგანული ქიმიური ნივთიერებების წარმოება
24.14.1	სათრიმლავი ნივთიერებების წარმოება
24.14.9	დანარჩენი ძირითადი ორგანული ქიმიური ნივთიერებების წარმოება
24.15.1	მინერალური სასუქების წარმოება
24.15.2	აზოტის ნაერთების წარმოება
24.16.0	პლასტმასების წარმოება პირველად ფორმებში
24.17.0	სინთეზური კაუჩუკის წარმოება
24.20.0	პესტიციდებისა და სხვა აგროქიმიური პროდუქტების წარმოება
24.30.1	საღებავების, ლაქების, ემალებისა და მათთვის მინერალური პიგმენტების წარმოება
24.30.2	საღებავებისა და ლაქების მზა გამხსნელებისა და განმზავებლების წარმოება
24.41.0	ძირითადი ფარმაცევტული პროდუქტების წარმოება
24.42.1	ფარმაცევტული პრეპარატების წარმოება სამედიცინო გამოყენებისათვის
24.42.2	სამკურნალო პრეპარატების წარმოება ვეტერინარიისათვის
24.42.3	ცემენტების წარმოება სტომატოლოგიაში და ძვლების რეკონსტრუქციისათვის გამოსაყენებლად
24.51.0	საპნის, დეტერგენტების, საწმენდი და საპრიალებელი პრეპარატების წარმოება
24.52.0	პარფიუმერული პროდუქციისა და კოსმეტიკური საშუალებების წარმოება
24.62.0	წებოებისა და ჟელატინის წარმოება
24.63.0	ეთერზეთების წარმოება
24.64.0	ფოტოქიმიური პრეპარატების წარმოება
24.65.0	ჩაუწერელი მზა ინფორმაციის მატარებლების წარმოება
24.66.1	ტექსტილის, ტყავისა და ბეწვეულის დასამუშავებელი მასალების წარმოება
24.66.2	ტექნიკური ნახშირბადის (მურის) წარმოება
24.66.9	დანარჩენი ქიმიური პროდუქტების წარმოება
24.70.0	ხელოვნური და სინთეზური ბოჭკოების წარმოება
25.11.0	რეზინის სალტეების, საბურავებისა და კამერების წარმოება
25.13.1	რეზინტექნიკური ნაწარმის წარმოება
25.13.2	რეზინის სანიტარულ-ჰიგიენური და სამედიცინო ნაწარმის წარმოება
25.21.0	პლასტმასის ფილების, ზოლების, მილებისა და პროფილების წარმოება

25.22.0	პლასტმასის ტარის წარმოება
25.23.0	მშენებლობაში გამოსაყენებელი პლასტმასის ნაკეთობების წარმოება
25.24.0	პლასტმასის დანარჩენი ნაკეთობების წარმოება
26.11.0	ფურცლოვანი მინის წარმოება
26.12.0	ფურცლოვანი მინის დაყალიბება და დამუშავება
26.13.1	მინის ტარის წარმოება
26.13.2	სამეურნეო-საყოფაცხოვრებო მინის ნაკეთობებისა და მინის ჭურჭლის წარმოება
26.14.0	ბოჭკოვანი მინის წარმოება
26.15.1	ელექტროტექნიკური და ელექტროვაკუუმიანი მინის წარმოება
26.15.2	ქიმიკო-ლაბორატორიული მინის ჭურჭლის წარმოება
26.15.9	სხვა კატეგორიებში ჩაურთველი მინის ნაკეთობების წარმოება
26.21.1	ფაიფურისა და ქაშანურის სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ნაკეთობე-ბის წარმოება
26.21.2	სამეთუნეო სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ნაწარმის წარმოება
26.22.0	კერამიკული სანიტარულ-ტექნიკური ნაკეთობების წარმოება
26.23.0	კერამიკული ელექტროიზოლატორებისა და საიზოლაციო არმატურის წარმოება
26.24.0	დანარჩენი ტექნიკური კერამიკული ნაკეთობების წარმოება
26.25.0	დანარჩენი კერამიკული ნაკეთობების წარმოება
26.26.0	ცეცხლგამძლე კერამიკული ნაწარმის წარმოება
26.30.0	კერამიკული ფილების წარმოება
26.40.1	აგურისა და ბლოკების წარმოება გამომწვარი თიხისაგან
26.40.9	დანარჩენი სამშენებლო ნაკეთობების წარმოება თიხისაგან
26.51.0	ცემენტის წარმოება
26.52.1	კირის წარმოება
26.52.2	კირქვიანი და დოლომიტიანი ფქვილის წარმოება
26.53.0	თაბაშირის წარმოება
26.61.1	რკინაბეტონისა და ბეტონის ასაწყობი კონსტრუქციებისა და ნაკეთობების წარმოება
26.61.2	საკედლე ბლოკების წარმოება

26.61.3	სილიკატური აგურის წარმოება
26.62.0	მშენებლობაში გამოსაყენებელი თაბაშირის ნაწარმის წარმოებას
26.63.1	სასაქონლო ბეტონის წარმოება
26.63.2	ასფალტბეტონის წარმოება
26.64.0	ბეტონის მშრალი ნარევების წარმოება
26.65.0	ნაკეთობების წარმოება ბოჭკოვანი ცემენტისაგან
26.66.0	დანარჩენი ნაკეთობების წარმოება ბეტონის, თაბაშირისა და ცემენტისაგან
26.70.0	დეკორატიული და სამშენებლო ქვის ჭრა, დამუშავება და მოპირკეთება
26.81.0	აბრაზიული ნაკეთობების წარმოება
26.82.2	მინერალური საიზოლაციო მასალების წარმოება
26.82.3	რბილი სახურავი და ჰიდროიზოლაციური მასალების წარმოება
26.82.4	ხელოვნური ფოროვანი შემავსებლების წარმოება და ბუნებრივი ფოროვანი შემავსებლების გადამუშავება
26.82.5	საყალიბე მასალების წარმოება
26.82.6	არალითონური მადნებისაგან ნაკეთობების წარმოება
27.10.0	თუჯის, ფოლადისა და ფეროშენადნობების წარმოება
27.21.0	მილების წარმოება სამსხმელო თუჯისაგან
27.22.0	ფოლადის მილების წარმოება
27.32.0	ლენტებისა და ვიწრო ზოლების ცივად გლინვა
27.33.0	ცივი შტამპვა და ღუნვა
27.34.0	მავთულის წარმოება
27.35.0	სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი ფეროშენადნობებისა და დანარჩენი პროდუქციის წარმოება
27.41.0	ძვირფასი ლითონების წარმოება
27.42.0	ალუმინის წარმოება
27.43.0	ტყვიის, თუთიისა და კალის წარმოება
27.44.0	სპილენძის წარმოება
27.45.1	ქრომის, ნიკელისა და კობალტის წარმოება
27.45.2	მანგანუმის წარმოება
27.45.3	სტიბიუმისა და ვერცხლისწყლის წარმოება
27.45.4	ტიტანისა და მაგნიუმის, ვოლფრამისა და მოლიბდენის წარმოება

27.45.5	ფერადი ლითონებისა და შენადნობების წარმოება
27.45.6	იშვიათი ლითონებისა და ნახევრადგამტარიანი მასალების წარმოება
27.45.9	დანარჩენი ფერადი ლითონებისა და მათი ცალკეული ნაკეთობების წარმოება
27.51.0	თუჯის ჩამოსხმა
27.52.0	ფოლადის ჩამოსხმა
27.53.0	მსუბუქი ლითონების ჩამოსხმა
27.54.0	დანარჩენი ფერადი ლითონების ჩამოსხმა
28.11.1	ფოლადის სამშენებლო კონსტრუქციების წარმოება
28.11.2	მსუბუქი ლითონკონსტრუქციების წარმოება
28.11.3	სამშენებლო კონსტრუაციებისა და ნაკეთობების წარმოება ალუმინისა და ალუმინის შენადნობებისაგან
28.11.4	საკონტეინერო და ასაწყობ-დასაშლელი შენობებისა და სათავსოების წარმოება
28.12.0	ლითონის სამშენებლო ნაკეთობების წარმოება
28.21.0	ლითონის ცისტერნების, რეზერვუარებისა და კონტეინერების წარმოება
28.22.0	ცენტრალური გათბობის რადიატორებისა და ქვაბების წარმოება
28.30.0	ორთქლის გენერატორების წარმოება
28.40.1	ლითონის მზა ნაკეთობების წარმოება ნახევარფაბრიკატებისაგან ჭედვის, შტამპვის, თეგვისა და გლინვის გზით
28.40.2	ლითონის ნაკეთობების წარმოება ფხვნილთა მეტალურგიის მეთოდით
28.51.0	ლითონების დამუშავება და დაფარვა
28.52.0	მანქანათმშენებლობის ძირითადი ტექნოლოგიური პროცესები
28.61.0	დანისებრი ნაკეთობების წარმოება
28.62.1	ლითონისა და ხის დასამუშავებელი ინსტრუმენტების წარმოება
28.62.2	სასოფლო-სამეურნეო ინსტრუმენტების წარმოება
28.63.0	საკეტებისა და ანჯამების წარმოება
28.71.0	ლითონის კასრებისა და ანალოგიური ტევადობების წარმოება
28.72.0	ჭურჭლის წარმოება მსუბუქი ლითონებისაგან
28.73.0	მავთულის ნაკეთობების წარმოება
28.74.0	სამაგრი ნაკეთობების, ჯაჭვებისა და ზამბარების წარმოება

28.75.1	ლითონის სანიტარულ-ჰიგიენური საკუთნოების წარმოება
28.75.2	სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჭურჭლისა და სამზარეულო ინვენტარის წარმოება
28.75.9	ლითონის დანარჩენი ნაკეთობების წარმოება
29.11.1	ძრავების წარმოება
29.11.2	ტურბინების წარმოება
29.12.1	ჰიდრავლიკური ტუმბოების წარმოება
29.12.2	ჰაერისა და ვაკუუმის ტუმბოების წარმოება
29.12.3	კომპრესორების წარმოება
29.13.0	ონკანებისა და სარქველების წარმოება
29.14.1	საკისრების წარმოება
29.14.2	მანქანათმშენებლობის საერთო დანიშნულების კვანძებისა და დეტალების წარმოება
29.21.1	არაელექტრული ღუმელებისა, ღუმელების სანთურებისა და მოწყობილობების წარმოება
29.21.2	ელექტრული ღუმელების წარმოება
29.22.1	ამწეების წარმოება (სამშენებლოს გარდა)
29.22.2	ამწეების წარმოება მშენებლობისათვის
29.22.3	უწყვეტი ტრანსპორტის მოწყობილობების წარმოება
29.22.4	ლიფტების წარმოება
29.22.5	ავტო და ელექტროსატვირთელების წარმოება
29.22.6	დანარჩენი ამწე-სატრანსპორტო, სატვირთავ-გასატვირთავი და სასაწყობო მოწყობილობების წარმოება
29.23.1	საცივარი და საყინავი მოწყობილობების წარმოება
29.23.2	ჰაერის სამრეწველო კონდიციონერებისა და ვენტილატორების წარმოება
29.24.1	წონის საზომი მოწყობილობების წარმოება (პრეციზიური ლაბორატორიული სასწორების გარდა)
29.24.2	საფილტრავი და საწმენდი მოწყობილობების წარმოება
29.24.3	სითხეებისა და ფხვნილების გამფრქვევი და გამშხეფი მოწყობილობების წარმოება
29.24.4	საფუთავი და შესახვევი მანქანების წარმოება
29.24.5	მოწყობილობებისა და აპარატურის წარმოება ქიმიური პროცესებისათვის

29.24.6	დანარჩენი მანქანებისა და მოწყობილობების, დეტალებისა და კვანძების წარმოება
29.31.1	სასოფლო-სამეურნეო ტრაქტორების წარმოება
29.32.1	სასოფლო-სამეურნეო მანქანების წარმოება
29.32.2	მოწყობილობების წარმოება მეცხოველეობისა და საკვებწარმოებისათვის
29.32.3	ხე-ტყის დასამზადებელი და მელიორაციული მოწყობილობების წარმოება
29.41.0	ხელის მექანიზებული ინსტრუმენტების წარმოება
29.42.0	ლითონსაჭრელი ჩარხების წარმოება
29.43.0	დანარჩენი ჩარხების წარმოება
29.51.1	მეტალურგიული მოწყობილობების წარმოება
29.52.1	საშახტო და სამთამადნო მოწყობილობების წარმოება
29.52.2	საგზაო და მიწასათხრელი მანქანების წარმოება
29.52.3	სამშენებლო მანქანების წარმოება
29.52.4	მოწყობილობების წარმოება სამშენებლო მასალების დასამუშა-ვებლად
29.52.5	მოწყობილობების წარმოება ტორფის მრეწველობისათვის
29.53.1	კვების პროდუქტებისა, მათ შორის სასმელების, და თამბაქოს ნაწარმის დასამზადებელი მანქანებისა და მოწყობილობების წარმოება
29.54.1	მანქანებისა და მოწყობილობების წარმოება საფეიქრო მრეწვე-ლობისათვის
29.55.1	მანქანებისა და მოწყობილობების წარმოება ქაღალდისა და მუყაოს დასამზადებლად
29.56.1	ნავთობსარეწაო და საბურღი გეოლოგიურ-დასაზვერვო მოწყობი-ლობებისა და ნავთობაირგადასამუშავებელი მოწყობილობების წარმოება
29.56.2	სპეციალური ტექნოლოგიური მოწყობილობების წარმოება ელექტრონული მრეწველობისათვის
29.56.3	ქიმიური ბოჭკოს მისაღები ტექნოლოგიური მოწყობილობების წარმოება
29.56.4	რეზინის, პლასტმასებისა და სხვა პოლიმერული მასალების გადასამუშავებელი მოწყობილობების წარმოება
29.56.5	ტექნოლოგიური მოწყობილობების წარმოება მინის მრეწველობისათვის
29.56.6	ტექნოლოგიური მოწყობილობების წამროება პოლიგრაფიული მრეწველობისათვის
29.56.7	სპეციალური დანიშნულების დანარჩენი მანქანების წარმოება
29.71.1	საყოფაცხოვრებო ელექტრომოწყობილობების წარმოება, მაცივრებისა და საყინულეების გარდა
29.71.2	საყოფაცხოვრებო მაცივრებისა და საყინულეების წარმოება

29.72.0	საყოფაცხოვრებო არაელექტრული ხელსაწყოების წარმოება
30.01.0	საოფისე მოწყობილობების წარმოება
30.02.1	ელექტრული გამომთვლელი მანქანებისა და ინფორმაციის დასამუ-შავებელი სხვა მოწყობილობების წარმოება
31.10.1	ელექტრომძრავების, გენერატორებისა და ტრანსფორმატორების წარმოება
31.20.1	ელექტროგამანაწილებელი და მარეგულირებელი აპარატურის წარმოება
31.30.0	იზოლირებული სადენებისა და კაბელების წარმოება
31.40.0	აკუმულატორებისა და გალვანური ელემენტების წარმოება
31.50.1	ელექტრონათურების წარმოება
31.50.2	სანათი მოწყობილობების წარმოება
31.61.1	ელექტრომოწყობილობების წარმოება ძრავებისა და სატრანსპორტო საშუალებებისათვის
31.62.1	ელექტროდული პროდუქციის წარმოება
31.62.2	ელექტროსაიზოლაციო ნაკეთობების წარმოება
31.62.3	ელექტროსასიგნალო მოწყობილობების წარმოება
31.62.7	დანარჩენი ელექტრომექანიზმებისა და ხელსაწყოების წარმოება
32.10.0	ელექტრონული კომპონენტების წარმოება
32.20.1	საწარმოო დანიშნულების ტელე- და რადიოაპარატურის წარმოება
32.20.2	კაბელური სატელეფონო და სატელეგრაფო კავშირის აპარატურის წარმოება
32.30.1	ხმისა და გამოსახულების მიმღები, ჩამწერი და აღმწარმოებელი აპარატურის წარმოება
33.10.1	ხელსაწყოების წარმოება მედიცინის, ვეტერინარიისა და სამეცნიერო კვლევებისათვის
33.10.2	სამედიცინო ინსტრუმენტების, აპარატებისა და მოწყობილობების წარმოებას
33.10.3	ქირურგიული და ორთოპედიული სამარჯვების წარმოება
33.10.4	სამედიცინო, ქირურგიული, სტომატოლოგიური და ვეტერინარული ავეჯის წარმოება
33.20.1	მექანიკური სიდიდეების საზომი ხელსაწყოების წარმოება
33.20.2	ელექტროსაზომი ხელსაწყოების წარმოება
33.20.3	რადიოსაზომი ხელსაწყოების წარმოება
33.20.4	ოპტიკური და ოპტიკო-მექანიკური ხელსაწყოებისა და აპარატურის წარმოება

33.20.5	ხელსაწყოების წარმოება ფიზიკური კვლევებისათვის
33.20.6	სახაზავი, მოსანიშნი და საზომი ინსტრუმენტების წარმოება
33.40.1	ოპტიკური ხელსაწყოების წარმოება
33.40.2	ფოტო- და კინოაპრატურის წარმოება
33.50.1	ყველა ტიპის საათების წარმოება
33.50.2	დროის სარეგისტრაციო ხელსაწყოების წარმოება
33.50.3	საათების დეტალებისა და საკუთნოების წარმოება
34.10.1	საავტომობილო ტრანსპორტის წარმოება
34.10.2	ძრავების წარმოება
34.20.0	ავტომობილების ძარების წარმოება; მისაბმელებისა და ნახევარმისაბმელების წარმოება
34.30.0	ავტომობილების ნაწილებისა და საკუთნოების და მათი ძრავების წარმოება
35.11.1	გემთმშენებლობა
35.12.1	სპორტულ-ტურისტული გემების მშენებლობა
35.20.1	რკინიგზისა და ტრამვაის ლოკომოტივებისა და მოძრავი შემადგენლობის წარმოება
35.30.1	საფრენი აპარატების წარმოება, კოსმოსური აპარატების ჩათვლით
35.41.0	მოტოციკლების წარმოება
35.42.0	ველოსიპედების წარმოება
35.43.0	ეტლების წარმოება შშმ პირებისთვის
35.50.0	სხვა კატეგორიებში ჩაურთველი სატრანსპორტო საშუალებე-ბისა და მოწყობილობების წარმოება
36.11.0	სკამებისა და სხვა დასაჯდომი ავეჯის წარმოება
36.12.0	საოფისე და სავაჭრო საწარმოთა ავეჯის წარმოება
36.13.0	სამზარეულო ავეჯის წარმოება
36.14.1	სხვა სახის ავეჯის წარმოება
36.14.2	სხვა სახის ავეჯის წარმოება სპეცილიზებული საწარმოების მიერ მოსახლეობის ინდივიდუალური შეკვეთით
36.15.0	ლეიბების წარმოება
36.21.0	მონეტებისა და მედლების მოჭრა
36.22.0	საიუველირო ნაკეთობების წარმოება

36.30.1	მუსიკალური ინსტრუმენტების წარმოება
36.40.0	სპორტული საქონლის წარმოება
36.50.0	თამაშებისა და სათამაშოების წარმოება
36.61.0	საიუველირო ნაკეთობების წარმოება არაძვირფასი მასალებისაგან
36.62.0	ცოცხებისა და ჯაგრისების წარმოება
36.63.1	საკანცელარიო ნაკეთობების წარმოება
36.63.2	საბავშვო ეტლების წარმოება
36.63.3	პლასტმასისა და ლითონის გალანტერეის წარმოება
36.63.4	ასანთის წარმოება
36.63.5	ლინოლიუმისა და იატაკის სხვა არაპლასტმასის მაგარი საფარების წარმოება
36.63.6	სხვა ნაკეთობების წარმოება
55.11.0	სასტუმროები რესტორნებით (თბილისის და ბათუმის გარდა)
55.12.0	სასტუმროები რესტორნების გარეშე (თბილისის და ბათუმის გარდა)
55.21.0	ახალგაზრდული ბანაკები და ტურბაზები
72.10.0	გამოთვლითი ტექნიკის აპარატულ საშუალებებთან დაკავშირებული კონსულტაციები
72.21.0	პროგრამული უზრუნველყოფის გამოცემა
72.22.0	პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავება და კონსულტაციები ამ სფეროში
72.30.0	მონაცემთა დამუშავება
72.40.0	მონაცემთა ბაზებთან დაკავშირებული საქმიანობა
73.10.0	კვლევები და დამუშავებები საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ მეცნიერებათა დარგში
73.20.0	კვლევები და დამუშავებები საზოგადოებრივ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დარგში
74.12.0	საქმიანობა ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სფეროში
74.13.0	ბაზრის კონიუნქტურის გამოკვლევა და საზოგადოებრივი აზრის გამოვლენა
74.14.0	კონსულტირება კომერციული საქმიანობისა და მართვის საკითხებზე
74.20.1	საქმიანობა არქიტექტურის სფეროში; მშენებლობასთან დაკავშირებული საინჟინრო და ტექნიკური საქმიანობა
74.20.2	საქმიანობა გეოლოგიისა და გეოლოგიურ-სადაზვერვო სფეროებში (მეცნიერული კვლევევებისა და შემუშავებების გარდა)
74.20.3	გეოდეზიური საქმიანობა

74.20.4	საქმიანობა ჰიდრომეტეოროლოგიის დარგში
74.30.0	ტექნიკური გამოცდა და ანალიზი
74.40.0	რეკლამა
74.50.0	სამუშაო ძალის დაქირავება და პერსონალის შერჩევა
74.85.0	სამდივნო და თარგმნითი მომსახურების გაწევა
74.86.0	სატელეფონო საცნობარო ცენტრების საქმიანობა
80.22.1	პროფესიულ-ტექნიკური განათლება
80.22.2	საშუალო სპეციალური განათლება
80.42.0	სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი განათლება მოზრდილთათვის და განათლების დანარჩენი სახეობები
85.11.3	სანატორულ-საკურორტო დაწესებულებების საქმიანობა
85.11.9	სტაციონარების მქონე სხვა სამკურნალო დაწესებულებების საქმიანობა
85.14.0	ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული სხვა საქმიანობა (მხოლოდ ლაბორატორიები)
85.20.0	ვეტერინარული საქმიანობა
93.01.2	ქიმწმენდა და ღებვა

დანართი №2 : სასტუმროს მინიმალური კრიტერიუმები (55.11.0 - სასტუმროები რესტორნებით და 55.12.0 - სასტუმროები რესტორნების გარეშე საქმიანობის სახეებისთვის)

ახალი სასტუმროს მშენებლობის შემთხვევაში - მინ. 10 ნომერი ან არსებული სასტუმროს გაფართოება/გადაიარაღება მინ. 10 ახალი ნომრის დამატება (სავალდებულოა სასტუმროს მინიმალური კრიტერიუმების დაკმაყოფილება № 2 დანართის შესაბამისად)

- **სასტუმროს ერთი ნომრის ოთახ(ებ)ის ფართობი** – არანაკლებ 18 კვ.მ., მათ შორის – სააბაზანო/სანიტარიული კვანძის ფართობი არანაკლებ 4კვ.მ;
- **ლიფტი** - იმ შემთხვევაში თუ შენობა 2 - ზე მეტ სართულიანია;
- **სანიტარიული კეთილმოწყობა:**

- საშხაპე/საპირფარეშო ან სააბაზანო/საპირფარეშო;
- პირსაბანი;

- **ელექტრომომარაგება:**

- გარე განათება;
- შენობის შიდა ფართობის განათება;
- სასტუმრო ოთახ(ებ)ის და სანიტარიული კვანძის სათანადო განათება და ელექტრომომარაგება;

- **ხმაურის კონტროლი/ჰაერის კონდიცირება:**

- ხმაურდამცავი მინაპაკეტის ფანჯარა;
- ოთახები ცენტრალური ან/და ინდივიდუალური კონდიცირება (გათბობა/გაგრილების სისტემა) აღჭურვილი ინდივიდუალური მართვის საშუალებებით;

- დამხმარე ოთახებისა (საჭიროების მიხედვით) და საზოგადოებრივი ადგილების ცენტრალური ან/და ინდივიდუალური კონდიცირება (გათბობა/გაგრილების სისტემა);

- **პირობები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის:**

- სასტუმროსთან ეტლით მისასვლელი პანდუსი;
- შენობის შიგნით შეუფერხებელი გადაადგილება;
- ლიფტით, ეტლით გადაადგილება;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების სასტუმროში განთავსების საშუალება.

- **სტუმართა რეგისტრაცია (რეცეფცია):**

- განცალკევებული, დამოუკიდებელი რეგისტრაციის ადგილი;
- მინიმუმ სამადგილიანი მოსასვენებელი რეცეფციასთან;
- სანიტარიული კვანძი მისაღებ სივრცეში.

- **კვების ობიექტი** - სასადილო ან რესტორანი.
- **ტელეკომუნიკაციები:**

- ტელეფონი და ინტერნეტი ოთახში;
- ტელეფონი და ინტერნეტი საზოგადოებრივ ადგილას;
- სატელევიზიო მაუწყებლობა.

საჭირო დოკუმენტების ჩამონათვალი:

- ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მიერ დამტკიცებული სასტუმროს პროექტი
- მშენებლობის სანებართვო მოწმობა, გაცემული ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მიერ
- მიწის საკუთრების დამადასტურებელი ამონაწერი, გაცემული საჯარო რეესტრის მიერ
- ბიზნეს გეგმა

.